

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება
N 506 2010 წლის 15 ივლისი ქ. თბილისი

საქართველოს დაზვერვის სამსახურის ემბლემის, ემბლემის
დებულებისა და დროშის დამტკიცების შესახებ

1. „საქართველოს დაზვერვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 21 ივნისის №434 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს საქართველოს დაზვერვის სამსახურის ემბლემა თანდართული ესკიზისა და აღწერილობის მიხედვით (დანართი №1), საქართველოს დაზვერვის სამსახურის ემბლემის შესახებ დებულება (დანართი №2) და საქართველოს დაზვერვის სამსახურის დროშა თანდართული ესკიზისა და აღწერილობის მიხედვით (დანართი №3).

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის ემბლემის, ემბლემის დებულებისა და დროშის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 11 თებერვლის №76 ბრძანებულება.

3. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მიხეილ სააკაშვილი

დანართი №1

დამტკიცებულია
საქართველოს პრეზიდენტის
2010 წლის 15 ივლისის
№ 506 ბრძანებულებით



საქართველოს დაზვერვის სამსახურის ემბლემის აღწერილობა

საქართველოს დაზვერვის სამსახურის ემბლემა არის ლაჟვარდისფერ (ლურჯი) არშიანი მრგვალი ჰერალდიკური ფარი, რომელსაც კვეთს მეწამული ჯვარი. ჯვრის ცენტრში გამოსახულია ჰერალდიკური ფარი, ფარის ვერცხლის ველზე - ლაჟვარდისფერი (ლურჯი) ოთხქიმიანი ვარსკვლავი (კონტროლისა და უსაფრთხოების სიმბოლო), ფარს ამშვენებს ივერიული გვირგვინი.

I და IV ვერცხლის (თეთრი) ველზე გამოსახულია ბოლნურ-კაცხური ჯვარი. ლაჟვარდისფერ (ლურჯი) არშიაზე გამოსახულია ოქროს წარწერა: „საქართველოს დაზვერვის სამსახური“.

დანართი №2


დამტკიცებულია
საქართველოს პრეზიდენტის
2010 წლის 15 ივლისის
№ 506 ბრძანებულებით

საქართველოს დაზვერვის სამსახურის ემბლემის შესახებ დებულება

1. საქართველოს დაზვერვის სამსახურის (შემდეგში - სამსახური) ემბლემა (შემდეგში – ემბლემა) არის სამსახურის ოფიციალური სიმბოლო.
2. ემბლემა განთავსდება (ინახება) სამსახურის უფროსის კაბინეტში და სამსახურის სხდომათა დარბაზში.
3. ემბლემა გამოისახება:
 - ა) სამსახურის ვებგვერდზე;
 - გ) სამსახურის ბეჭდვით გამოცემებზე;
 - დ) სამსახურის მიერ მომზადებულ კინო, ვიდეო და ფოტო მასალებზე;
 - ე) სამსახურის შეკვეთით დამზადებულ სარეკლამო-საინფორმაციო და სუვენირულ პროდუქციაზე;
 - ვ) სამსახურის მოსამსახურეთა სამსახურებრივ მოწმობაზე.
4. სამსახურის უფროსი იღებს გადაწყვეტილებას ემბლემის გამოყენების სხვა შემთხვევების თაობაზე.
5. ემბლემა დაცულია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

დანართი №3

დამტკიცებულია
საქართველოს პრეზიდენტის
2010 წლის 15 ივლისის
№ 506 ბრძანებულებით



საქართველოს დაზვერვის სამსახურის დროშის აღწერილობა

საქართველოს დაზვერვის სამსახურის დროშა არის მართკუთხა თეთრი ქსოვილი პროპორციით - 2/3, რომელსაც კვეთს სწორკუთხა მეწამული (წითელი) ჯვარი სისქით - დროშის სიმაღლის 1/5, რომელიც ეხება დროშის ქსოვილის კიდეებს. ზედა მარჯვენა მეოთხედში (პირველი კანტონი) თეთრ (ვერცხლის) ველზე გამოსახულია ლაჟვარდისფერი ოთხქიმიანი ვარსკვლავი – საქართველოს დაზვერვის სამსახურის ემბლემის დეტალი.